ლოტის N	მისამართი	საკადასტრო კოდი	ფართობი (კვ.მ)	საწყისი წლიური საიჯარო ქირა (ლარი)	ბიჯი (ლარი)	ბე/საბანკო გარანტია	შენიშვნა
2	ქ.თბილისი, რაფიელ აგლაძის ქუჩა	01.13.05.002.024	სიტუაციური ნახაზზე მონიშნული 1160 კვ.მ	77708	2000	15542	მიწის ნაკვეთზე გადის სალიანდაგო დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული, სადგურ თბილისი სატვირთოში არსებული წისქვილკომბინატის ჩიხის ლიანდაგი“ (ლიანდაგი-სად. თბ.სატვირთო წისქვილკომბინატის ჩიხი - SAP-214000000446; საინვ. N330389) - რომელიც არ წარმოადგენს იჯარის საგანს

- მესაკუთრე: სს „საქართველოს რკინიგზა“.
- განკარგვის ფორმა: დროებითი სარგებლობა - იჯარა.
- სარგებლობის ვადა: 3 (სამი) წელი.
- ელექტრონული აუქციონის მიმდინარეობის ვადა: აუქციონის დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე.

<u>1. აუქციონში მონაწილეობისა და შედეგების გაფორმების წესი:</u>

1.1 წინამდებარე აუქციონის საფუძველზე გამარჯვებული პირი იჯარის უფლებით 3 (სამი) წლის ვადით სარგებლობაში აიღებს მიწის ნაკვეთს (შემდგომში „უძრავ ქონება“).
1.2 ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მიზნით დაინტერესებული პირი ვალდებულია გადაიხადოს „ბე“.
1.3 აუქციონში გამარჯვებულის მიერ „ბე“-ს (საგარანტიო თანხა) სახით გადახდილი თანხა (დღგ-ს ჩათვლით), ჩაითვლება ბოლო წლის საიჯარო ქირის ანგარიშში.
1.4 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება და ხელშეკრულების სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ რეგისტრაციის დასრულებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში სრულად გადაიხადოს ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული პირველი წლის საიჯარო ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონი ჩაითვლება ჩაშლილად და მას არ დაუბრუნდება გადახდილი „ბე“.
1.5 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულება გაფორმდება ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, დანართი 2-ით წარმოდგენილი არსებითად მსგავსი იჯარის ხელშეკრულების პროექტის მიხედვით.
1.6 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული (შემდგომში „მოიჯარე“) ვალდებულია გასწიოს უძრავი ქონების იჯარის უფლებით სარგებლობაში აღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი და ყველა ხარჯი (მათ შორის: სანოტარო საზღაური ან/და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (შემდგომში: „რეესტრი“) რეგისტრაციის საფასური).
1.7 მოიჯარეზე „რეესტრში“ რეგისტრაციისთანავე სრულად გადადის სარგებლობაში აღებული უძრავი ქონების მოვლა-პატრონობის ვალდებულება.

<u>2. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ გასათვალისწინებელი ნორმები:</u>

2.1 მიწის ნაკვეთზე განლაგებულია სალიანდაგო დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული, სადგურ თბილისი სატვირთოში არსებული „საფოსტო ყუთის მისასვლელი ლიანდაგი“ (ლიანდაგი-სად. თბ.სატვირთო საფოსტო ყუთის მისასვლელი ლიანდაგი - SAP-214000000430; საინვ. #330370) და

სადგურ თბილისი სატვირთოში არსებული წისქვილკომბინატის ჩიხის ლიანდაგი“ (ლიანდაგი-სად. თბ.სატვირთო წისქვილკომბინატის ჩიხი - SAP-214000000446; საინვ. N330389) რომელიც არ წარმოადგენს იჯარის საგანს.

2.2. **მოიჯარეს უფლება არ აქვს დაფაროს ლიანდაგი (რელსის თავი) ასფალტის საფარით და დააზიანოს იგი.**

2.3. იჯარის საგნის გადაცემისას მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც აისახება იჯარის საგნის მდგომარეობა, გადაცემის მომენტში მიწის ნაკვეთზე განლაგებული ლიანდაგის სიგრძე და ვიზუალური დათვალიერებით დადგენილი მისი მდგომარეობა.

2.4. მოიჯარე ვალდებულია საიჯარო ვადის გასვლის შემდგომ მეიჯარეს მიწის ნაკვეთზე განთავსებული ლიანდაგი დაუბრუნოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ მდგომარეობაში, გარდა მიმდინარე ცვეთისა.

2.5. მოიჯარე ვალდებულია მიწის ნაკვეთზე განთავსებული ლიანდაგის დანაკლისის, დაზიანების ან/და მისი მდგომარეობის სხვაგვარად გაუარესების შემთხვევაში მეიჯარეს აუნაზღაუროს ზიანი, გარდა მიმდინარე ცვეთისა.

2.6. მოიჯარე ვალდებულია ხელი არ შეუშალოს იჯარის საგანზე მეიჯარის წარმომადგენლის დაშვებას.

2.7.მოიჯარე ვალდებულია შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში მიმდებარე/მომიჯნავე საკადასტრო ერთეულებისთვის უზრუნველყოს აუცილებელი მისასვლელი გზით სარგებლობა.

2.8. მეიჯარე უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს მიწის ნაკვეთზე განლაგებული ლიანდაგის დემონტაჟი, რის შედეგადაც დემონტირებული ლიანდაგის ტერიტორიის მოსწორების ხარჯები ეკისრება მეიჯარეს.

2.9. სარგებლობის ვადის დასრულების შემდგომ, ტერიტორია უნდა დაუბრუნდეს პირვანდელ (გაიჯარებამდე არსებული) მდგომარეობას.

შენიშვნა: აუქციონის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სს „საქართველოს რკინიგზაში“. მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამირი N15. ტელ: 591 199181.